

შპს "საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი"

LTD "THE SCIENTIFIC CENTER OF INGINEERING BUILDING DESIGNING RESEARCH AND EXPERTISE

ტელ:577588218 599179823(032)2227704 **E-mail: d.tabatadze@gtu,ge**

24.10.2019 № 09-08т-72



საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, თაბუკაშვილის №38ა-ში მდებარე შენობის(საკადასტრო კოდი 01.15.04.016.005) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი რეკონსტრუქციის ჩატარების შესაძლებლობის დადგენის მიზნით

ქ. თბილისი

2019 წელი

ვამტკიცებ

შპს "საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი"

დირექტორი „___________" ოცხველიძე

„24.10.______________" 2019წ

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, თაბუკაშვილის №38ა-ში მდებარე შენობის(საკადასტრო კოდი 01.15.04.016.005) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი რეკონსტრუქციის ჩატარების შესაძლებლობის დადგენის მიზნით

შემსრულებლები:

ექსპერტი,

პროფესორი დ.ტაბატაძე

შემადგენლობა

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი 3
2. გამოყენებული აპარატურა 3
3. გამოყენებული ლიტერატურა 4
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 6
6. დანართი 7

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2019 წლის 14 ოქტომბერს შპს „სამი ჯგუფი“ (დირექტორი გიორგი გოშხოთელიანი). და შპს “საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი"დირექტორს რევაზ ცხვედაძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დაგვევალა ქ. თბილისი, თაბუკაშვილის №38ა-ში მდებარე შენობის(საკადასტრო კოდი 01.15.04.016.005) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი რეკონსტრუქციის ჩატარების შესაძლებლობის დადგენის მიზნით(მასზედ ორი სართულის დაშენების მიზნით)

2. გამოყენებული აპარატურა

1. ლაზერული მანძილმზომი „STANLEY TLM 3000“ №1-77-930;
2. ციფრული ფოტო აპარატი „FUJIFILM” №1WR51706;
3. სკლერომეტრული ჩაქუჩი „ELCOMETER 181“ №11005989;

3. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;

2. სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

3. სამშენებლო ნორმების და წესების - „მეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

4. სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;

5. СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ-ს განახლება);

6. СП 13-102-2003, Правила обследования технического состояния несущих стройтельных конструкций зданий и сооружений.

4. კვლევითი ნაწილი

ქ. თბილისი, თაბუკაშვილის №38ა-ში მდებარე შენობა(საკადასტრო კოდი 01.15.04.016.005)აშენებულია გასული საუკუნის პირველ ნახევარში. წარმოადგენს ორსართულიან, , გეგმაში მართკუთხა ფორმის ნაგებობას ნახევარ - სარდაფით გაბარიტული ზომებით 22.3X16.2. იგი მდებარეობს დახრილ რელიეფზე. შენობის სარდაფის სიმაღლე წარმოადგენს 2.5 მ-ს და მიწის ზედაპირიდან ჩაღრმავებულია 1.5 მ-ით.სარეკონსტრუქციო შენობის ძირითადი ნაწილი დაფუძნებულია კენჭნაროვან გრუნტზე ფილის საძირკვლით. შენობის მცირე ნაწილი დაფუძნებულია თიხოვან გრუნტზე და როგორც ჩანს გვიანდელი მინაშენია. შენობის ამ ნაწილის საძირკველი _ ლენტურია. შენობის მზიდი კონსტრუქციას წარმოადგენს სამი გრძივი და სამი განივი აგურის კედლებით. კედლების სისქე 2.5 აგურია. სარდაფის და სართულსშუა გადახურვები შესრულებულია ლითონის კოჭებზე მონოლითური რკინაბეტონის ფილის მოწყობით. ხის კოჭებით არის მოწყობილი სასხვენო გადახურვა, მხოლოდ მას დამატებით მოწყობილი აქვს დამათბუნებელი მასალის შრე. სართულებს შორის კავშირი შესრულებულია კიბის უჯრედით, რომლის კონსტრუქციები ლითონის ჩანებზე ბეტონის საფეხურებითაა შესრულებული. შენობაზე მიშენებულია იტალიური ტიპის დახურული ხის აივნები. შენობის სახურავი ორქანობიანია და დახურულია ხის ნივნივებზე მოწყობილი თუნუქის ბურულით. შენობას არ აქვს ანტისეისლური სარტყელი.

შენობის ვიზუალური შემოწმებით დადგინდა, რომ მისი ძირითადი ნაწილის მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

არ გააჩნია ჯდენით ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციები, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენდა შენობის მდგრადობაზე. .

დამკვეთს სურს შენობაზე ორი სართულის დაშენება. მოცემული მდგომარეობით ეს მიზანშეწონილი არ არის.

აღნიშნული რეკონსტრუქციის ჩატარების მიზნით უნდა შესრულდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. სარეკონსტრუქციო შენობის მდგრადი ექსპლოატაციის უზრუნველ-საყოფად მიზანშეწონილია განხორციელდეს შენობის ერთ ხისტ სისტემაში გამთლიანება (შენობის ფუძე-გრუნტები სხვადასხვა საინჟინრო გეოლოგიური ელემენტებია).

2. რეკონსტრუქციის შემდეგ, ფუძე-გრუნტზე გადაცემული დატვირთვები მოიმატებს. შესაბამისად, უნდა შესრულდეს სათანადო კონსტრუქციული ანგარიშები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების გათვალისწინებით (შენობის იმ ნაწილში, სადაც ლენტური საძირკველია გამოყენებული, შეიძლება რეკომენდებული იქნეს საძირკვლის დაყვანა II სგე-ს კენჭნაროვან გრუნტამდე).

3.შენობის საძირკველი გახდეს ერთი მთლიანი ფილა. მოხდეს კედლების და ღიობების გაძლიერება ლითონის ელემენტებით.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია, იგი უნდა შესრულდეს სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით. სადაც გათვალიწინებული იქნება კვლევაში მითითებული ღონისძიებები

გამოკვლევის ამსახველი ფოტოფიქსაცია მოცემულია დანართში.

5. დასკვნა

ქ. თბილისი, თაბუკაშვილის №38ა-ში მდებარე ორსართულიანი(სარდაფით) შენობის (საკადასტრო კოდი 01.15.04.016.005) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევით დადგინდა:

1. შენობის ვიზუალური შემოწმებით დადგინდა, რომ მისი ძირითადი ნაწილის მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. არ გააჩნია ჯდენით ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციები, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენდა შენობის მდგრადობაზე.

2. სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია, იგი უნდა შესრულდეს სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით,სადაც გათვალიწინებული იქნება კვლევაში მითითებული ღონისძიებები. ის უნდა შესრულდეს გაანგარიშების საფუძველზე სათანადოდ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით, სამშენებლო ნორმებისა და წესების(სეისმომედეგი მშენებლობა) მოცემული გეომეტრიული ზომების დაცვის საფუძველზე.

3. პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს;

დანართი



